Environment and Society, N4, July, 2022, pp. 30-47

პან-თურქიზმის თეორიული ასპექტები და წარმომავლობა

თამარ დევიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

ელ.ფოსტა: tamar.devidze@ciu.edu.ge

Abstract

The Pan-Turkish ideological movement appeared in the arena in order to save the Ottoman Empire and the country from the destruction of certain political, social and economic processes at the end of the 19th and the beginning of the 20th century.

Pan-Turkism was reflected in the Tatar period of the Russian Empire along with the national awakening. It was the idea of uniting all the Turkic-speaking peoples of the Caucasus, the Volga-Ural region, the Crimea, the Middle East and Central Asia under the roof of a great Turkish state. It was the Tatar intellectuals of the Volga region and Crimea who laid the foundation for the theory of ideology. The founders of Pan-Turkish ideology were the Crimean Tatar educator, politician and publicist Ismail Gasparli; Siberian Tatar educator Yusuf Akchura; Azerbaijani intellectual and Transcaucasian Sheikh-ul-Islam Ali Husayn-Zade and others. It was in their doctrines that the idea of uniting peoples of Turkish origin into a single Turkish state was presented.
Elements of Pan-Turkism first emerged within linguistic, ethnolinguistic, and racial studies within language, history, and literature. According to adherents of Pan-Turkism, Turkic peoples share certain characteristics, such as related languages, perceived common ancestry, history, and cultural traditions. Around the 1900s, Pan-Turkism emerged as a political

movement that sought independence from the Ottoman Empire and aimed at reviving the Turkic peoples.

Pan-Turkism was the only one of the ideologies that flourished in the last years of the Ottoman Empire, and which was given a historic opportunity during the First World War, when the Young Turks, who determined the fate of the empire, adopted it as a guiding principle for state policy.

Pan-Turkism was able to completely replace well-established state ideologies and worldviews, Pan-Turkism simply overshadowed alternative theories and established guidelines for policy-making.

Keywords: *Pan-Turkism, Turkism, Young Turks, Ottomans*

აბსტრაქტი

პან-თურქული იდეოლოგიური მოძრაობა მე-19-ე საუკუნის ბოლოს და მე-20-ე საუკუნის დასაწყისში გარკვეული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროცესების პირას მყოფი ოსმალეთის იმპერიის და ქვეყნის განადგურებისგან გადასარჩენად გამოჩნდა ასპარეზზე.

პან-თურქიზმი ჩაისახა რუსეთის იმპერიის თათრობაში ეროვნულ გამოღვიძებასთან ერთად. ის იყო კავკასიის, ვოლგა-ურალის რეგიონის, ყირიმის, ახლო აღმოსავლეთის და ცენტრალური აზიის ყველა თურქულენოვანი ხალხის დიდი თურქული სახელმწიფოს სახურავის ქვეშ გაერთიანების იდეა. იდეოლოგიის თეორიას სწორედ ვოლგისპირეთისა და ყირიმის თათარმა ინტელექტუალებმა ჩაუყარეს საფუძველი. პან-თურქული იდეოლოგიის ფუძემდებლები იყვნენ ყირიმელი თათარ-განმანათლებელი, პოლიტიკოსი და პუბლიცისტი ისმაილ გასპარლი; სიბირსკელი თათარ-განმანათლებელი იუსუფ აქჩურა; აზერბაიჯანელი ინტელექტუალი და ამიერკავკასიის შეიხ-ულ-ისლამი ალი ჰუსეინ-ზადე და სხვები. სწორედ მათ

მოძღვრებებში იყო წარმოდგენილი თურქული წარმოშობის ხალხების გაერთიანების იდეა ერთიან თურქულ სახელმწიფოში.

პან-თურქიზმის ელემენტებმა თავდაპირველად თავი იჩინა ენის, ისტორიის და ლიტერატურის ფარგლებში ლინგვისტური, ეთნოლინგვისტური და რასობრივი კვლევების საფუძველზე. პან-თურქიზმის მიმდევართა აზრით, თურქ ხალხებს აქვთ გარკვეული მახასიათებლები, როგორიცაა მონათესავე ენები, აღქმული საერთო წინაპრები, ისტორია და კულტურული ტრადიციები. დაახლოებით 1900-იან წლებში პან-თურქიზმი ჩამოყალიბდა პოლიტიკურ მოძრაობად, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვოდა და თურქი ხალხების აღორძინებას ისახავდა მიზნად.

პან-თურქიზმი იყო ერთადერთი იმ იდეოლოგიებიდან, რომელიც ყვაოდა ოსმალეთის იმპერიიის ბოლო წლებში და რომელსაც ისტორიული შანსი მიეცა პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა ახალგაზრდა თურქებმა, რომლებიც განსაზღვრავდნენ იმპერიის ბედ-იღბალს, მიიღეს ის, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი სახელმწიფო პოლიტიკისათვის.

პან-თურქიზმმა შეძლო მთლიანად ჩაენაცვლებინა კარგად ჩამოყალიბებული სახელმწიფო იდეოლოგიები და მსოფლმხედველობა, მან უბრალოდ დაჩრდილა ალტერნატიული თეორიები და ჩამოაყალიბა სახელმძღვანელო პოლიტიკის კეთებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *პან-თურქიზმი, თურქიზმი, ახალგაზრდა თურქები, ოსმალიზმი*

შესავალი

პან-თურქული პოლიტიკური მოძრაობის წარმოშობა განპირობებული იყო მე-19 საუკუნის ბოლოს სამხრეთ-აღმსავლეთ ევროპაში ნაციონალიზმის განვითარებით. „ნაციონალიზმი - კაცობრიობის ახალი და უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. XIX საუკუნეს ,,ნაციონალიზმის ეპოქას“ უწოდებენ (მანჩხაშვილი & მაკარაძე, 2014). ნაციონალიზმი - ერის თავსებადობის ხვედრითი წილი, დაუწერელი, უპირობო საკითხია, რომელიც ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა თუქრი ხალხის გადარჩენისათვის ბრძოლაში (მაკარაძე, 2019).

„საზღვრისგარე თურქები“ (Landau, 1981) ამ ტერმინით მოიხსენებდნენ თურქეთში წარმოშობის ფართო სპექტრის ჯგუფებს, რომელთაგან, თუ ყველა არა, ზოგიერთი მათგანი მაინც ახლო შეხებაში იყო თურქებთან ბოლო საუკუნეების განმავლობაში.

გვიანი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის დასაწყისში ასეთი ჯგუფები, რომლებიც ცხოვრობდნენ ოსმალეთის იმპერიის გარეთ, თავმოყრილნი იყვნენ ძირითადად ცარისტული რუსეთის ტერიტორიაზე. სწორედ რუსეთში (გამომდინარე იქიდან, რომ ვოლგა-ყირიმის თათრობა და სხვ. რუსეთის შემადგენლობაში იმყოფობოდნენ, მოძრაობის ჩამოყალიბების ადგილად რუსეთის დასახელება სრულად ლეგიტიმურია) ახალი ტიპის ნაციონალიზმით გაჟღენთილმა ინტელექტუალთა მცირე ჯგუფმა, საფუძველი ჩაუყარა პან-თურქიზმის იდეოლოგიას. ამ პერიოდისათვის, ყველაზე მეტად გამორჩეული თურქული ჯგუფები იყვნენ ვოლგის თათრები, ყირიმის თათრები, კაზაკები, თურქმენები, უზბეკები, ყირგიზები და აზერები. თურქული ელემენტები გვხვდებოდა ტაჯიკებს შორისაც. თავიანთ ტერიტორიებზე ეს ჯგუფები შეადგენდნენ მოსახლეობის ძირითად ნაწილს, თუმცა აქ ასევე ცხოვრობდნენ სხვა ეთნიკური წარმოშობის ჯგუფები, უმეტესწილად რუსები.

რუსული მმართველობა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნიდან მოქმედებდა ცენტრალურ აზიაში, ასე თუ ისე ასატანი იყო, რაც განპირობებული იყო ცენტრალურ ხელისუფლებასთან სიშორით და ამასთანავე ადგილობრივი მმართველობის

არაეფექტურობით (Landau, 1981). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუარესებულა, შესაბამისად არ იყო არც ეკონომიკური პრობლემები. ამ პერიოდში რუსეთში ძლიერდება ორი ხაზი, ქრისტიანობა და რუსიფიკაცია. თურქული ჯგუფების უმეტესობამ ამას უპასუხა რწმენის და ეროვნული იდენტობის უფრო გაძლიერებით. ისლამი და თურქიზმი, ორივე ცალ-ცალკე და ერთად იყო მათი საყრდენი წერტილი.

თურქული ჯგუფები შედარებით იზოლირებულნი იყვნენ სხვებისაგან, ამიტომაც ისინი ეძებდნენ პოტენციურ მოკავშირეებს პან-ისლამიზმის და პან-თურქიზმის საზღვრებში. პან-ისლამიზმი იყო განსაკუთრებულად ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი, ოსმალთა იმპერიის სიახლოვის გამო, ამასთანავე სულთანი აბდულ ჰამიდ II მხარს უჭერდა პან-ისლამს და ცდილობდა მის ხელშეწყობას. პან-ისლამისგან განსხვავებით პან-თურქიზმი იყო უფრო ინოვაციური, გაუნათლებელი ხალხისთვის არც თუ იოლად გასაგები და მისაღები მიმდინარეობა. როგორც აღვნიშნეთ, მისი წარმოშობა განპირობებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ნაციონალიზმის განვითარებით, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო 1877-1878 წლებში რუსეთ -თურქეთის ომში თურქეთის დამარცხებამ რუსული და ბულგარული რაზმების მიერ.

პან-თურქიზმის არსი და კონცეფცია არ იყო ორგინალური, მისი ტაქტიკა და ტერმინიც კი ნასესხები იყო პან-სლავიზმისგან. ამიტომაც სრულად გასაგებია თუ რატომ იყვნენ დამწყები და პროპაგანდისტები თათრები, ანუ ზუსტად ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე დიდხანს იყო რუსული მმართველობის ქვეშ. თათრები ყველაზე მეტად იყვნენ დაქვემდებარებულები იმ ზეწოლას, რომელიც თან ახლდა ქრისტიანიზაციას და რუსიფიკაციას.

ისტორიული რაკურსი

ოსმალთა იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები თურქული მოსახლეობის ყველაზე ახლო მეზობლები ყირიმელი თათრები იყვნენ. ეს დიდ შესაძლებლობას

აძლევდა თურქულ მოსახლეობას გავლენა მოეხდინა ყირიმელ თათრებზე. მეტიც, მასშტაბური არათურქული გარემოს გამო, ყირიმელი თათრებსს, როგორც ეთნიკური ერთობის გადარჩენის გზა იყო თურქულ ჯგუფებთან დაახლოება (Zenkovsky, 1953).

მე-17 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ფართო და აქტიური ბურჟუაზია ყალიბდებოდა თათრების საზოგადოებაში. სწორედ ამ წრეს ჰქონდა შესაძლებლობა ეხელმძღვანელა ნაციონალიზმის გამოღვიძებისათვის მე-19 საუკუნის ბოლოსათვის. პან-თურქიზმი ქმნიდა მოსახერხებელ იდეოლოგიურ საფუძველს. თათარი ინტელექტუალები იყვნენ პირველები, რომლებიც მიხვდნენ, რომ რადგანაც თათრული ჯგუფები არ იყვნენ გეოგრაფიულად მჭიდროდ დასახლებულები, უნდა შექმნილიყო სხვა რამე ელემენტი, რომელიც მათ ერთმანეთთან შეაკავშირებდა. პირველი არჩევანი უდაოდ იყო ლინგვისტური ელემენტი. ამ ჯგუფების ენები იყო მსგავსი, თუმცა არა იდენტური და ინტელექტუალები ერთმანეთთან ურთიერთობდნენ ე. წ. „მაღალი თურქულით“ (Landau, 2004), რომელიც გამოირჩეოდა დიალექტური სიჭარბით და ლიტერატურული ენის სიმწირით. სწორედ საერთო, ლიტერატურული ენის დახვეწა გახდა პირველი ნაბიჯი კავშირის შექმნისაკენ. შედეგად, განათლება, ენის რეფორმა და ჟურნალისტური პროპაგანდა გახდა თურქი ნაციონალისტი ინტელექტუალების მთავარი საქმიანობა. ამ პერიოდში სამხრეთ რუსეთში და ცენტრალურ აზიაში გავრცელდა საბეჭდი დაზგები, რამაც დიდი როლი შეასრულა თურქებსა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებში იდეების გავრცელებაში და ამასთანავე ხელი შეუწყო პერიოდული ლიტერატურის პუბლიკაციას.

პან-თურქიზმის თეორიას ვოლგისპირეთისა და ყირიმის თათარმა ინტელექტუალებმა ჩაუყარეს საფუძველი, მათ შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია ყირიმელი თათარი განმანათლებელი, პოლიტიკოსი და პუბლიცისტი ისმაილ გასპარლი, სიბირსკელი თათარ განმანათლებელი იუსუფ აქჩურა და აზერბაიჯანელი ინტელექტუალი და ამიერკავკასიის შეიხ-ულ-ისლამი (შეიხ-ულ-ისლამი -ისლამის უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული ისლამურ ქვეყნებში. ტიტული ენიჭებოდა პირებს, ვინც სრულად ფლობდნენ ისლამის სამართლებრივ

ტრადიციებს და შეეძლოთ რელიგიური ნორმების გამოყენება ყოველი ახალი რელიგიური მიმდინარეობის ასახსნელად. ის წარმოადგენდა მუსლიმთა შორის მორალურ ავტორიტრტს, ზოგიერთ ქვეყანაში კი-უმაღლეს მოსამართლესაც. ოსმალეთის იმპერიაში შეიხ-ულ-ისლამი ითვლებოდა ყველა მუსულმანი შიიტის სულიერ ლიდერად) ალი ჰუსეინ-ზადე (ჩაჩხიანი, 2015).

ისმაილ გასპარლი გამორჩეულად აქტიური იყო განათლების, ენის რეფორმის და ჟურნალისტიკის სფეროში. გასპარლის, სკოლის მასწავლებელს და თათრული ქალაქის ბაღჩისარაის მერს, განათლება რუსეთში, თურქეთსა და საფრანგეთში ჰქონდა მიღებული. ის ერთდროულად იბრძოდა ორი ძალის, რუსული ხელისუფლების და მუსლიმი მოლების წინააღმდეგ. დიდი სიფრთხილით მანევრირებდა ამ ორ ძალას შორის, რადგან რუსული ხელისუფლებისთვის მიუღებელი იყო თურქული რენესანსი, ხოლო ისლამი მყარად ფეხგადგმული იყო მასებში და მათ დამაკავშირებელ საშუალებას წარმოადგენდა. გასპარლისთვის შესამჩნევი გახდა ის, რომ თურქი ინტელექტუალები განსხვავებით საკუთარი ენისა, თავისუფლად ფლობდნენ რუსულ და ფრანგულ ენებს, თურქული სკოლები მთლიანად კონცენტრირებული იყო არაბულ ენაზე და ყურანზე.

გასპარლიმ შეძლო შეექმნა განათლების ახალი, თანამედროვე სისტემა. 1884 წელს ბაღჩისარაის სკოლაში არაბულთან ერთად შეიტანა თურქული ენის სწავლება. სისტემამ მალე ჰპოვა გავრცელება თათართა სხვა სკოლებში. ამ სისტემის კურსდამთავრებულებმა აჩვენეს, რომ ისინი გაცილებით უკეთ იყვნენ მომზადებულები სწავლის გასაგრძელებლად, ვიდრე რეფორმის წინა სკოლის კურსდამთავრებულები.

როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში გავრცელდა საბეჭდი დაზგები, რამაც ხელი შეუწყო წიგნების, პუბლიკაციების და პერიოდული ლიტერატურის გავრცელებას. მართალია ამ წიგნების ურმავლესობას საერთო არაფერი ჰქონდა პოლიტიკასთან, თუმცა ლიტერატურული ენის ზრდასთან ერთად იძლეოდა ნაციონალისტური იდეების ქადაგების საშუალებას. 1883 წლის 10 აპრილს, გასპარლიმ დაარსა ჟურნალი

Tercüman, რომელიც იყო თურქული ჯგუფის მიერ რუსეთში გამოცემული ყველაზე მნიშვნელოვანი ჟურნალი. მისი პირველი გამოცემა მკითხველს ჰპირდებოდა რომ გააცნობდა ნაციონალურ საჭიროებებს, უნდა ითქვას, რომ ჟურნალმა წარმატებით შეასრულა ეს მისია. ჟურნალი ატარებდა საგანმანათლებლო რეფორმების, სოციალური საკითხების და თანამედროვე მეცნიერების ინტერესებს. გასპარლი მოქმედებდა ფრთხილად, რათა არ გამოეწვია მოლების მტრობა, ცდილობდა მათ გადაბირებას. ის იცავდა სეკულარულ ნაციონალიზმს ძალიან გამოკვეთილი პან-თურქული ნიუანსებით. არსებული ოფიციალური ცენზურის გამო პან-თურქული იდეები ძალიან ფრთხილად იყო გამოხატული. რუსეთის იმპერიაში თურქი მუსლიმების გაერთიანების აუცილებლობა გასპარლიმ შეაჯამა ფრაზაში: „ერთობა ენაში, აზროვნებასა და ქმედებაში“.

ერთი სიტყვით, ისმაილ გასპარლის იდეები შეგვიძლია განვიხილთ სამი მიმართულებით:

1. მუსლიმი საზოგადოების მოდერნიზაცია განათლების მთელი სისტემის რეფორმის გზით:
2. რუსეთის იმპერიაში მცხოვრები თურქული მოსახლეობის სულიერი და პოლიტიკური ერთიანობა;
3. რუსეთში მცხოვრები მუსლიმების დამოკიდებულების ფორმების მოძებნა რუსეთთან, ანუ რუსულ სამყაროსთან და დასავლეთთან (Гилязов, 2002).

მოკლედ რომ ვთქვათ, გასპარლის ძირითადი მიზანი იყო რუსეთში არსებული თურქული ჯგუფების გაერთიანება თურქეთის სულიერი ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა კულტურაზე და საერთო ენაზე. შემთხვევითი არ იყო ენაზე კონცენტრირება, გასპარლის განათლების რეფორმა და ჟურნალი „Tercüman“-ი ორივენი ხელს უწყობდნენ საერთო ენის ჩამოყალიბებას და თურქი ჯგუფების დაახლოების საქმეში მიჩნდათ პრიორიტეტულად.ნაციონალურმა სენტიმენტებმა, პან-თურქიზმის ელემენტებთან ერთად, ბევრი მხარდამჭერი მოიპოვა რუსეთის თურქულ ჯგუფებს შორის, თუმცა ტერიტორიის ცვლილებასთან ერთად

ხდებოდა შინაარსისა და ფორმის ცვლილება. მაგ. გასპარლის სეკულარისტულ შეხედულებას არ იზიარებდნენ ისინი, ვისაც ისლამი მნიშვნელოვან, საერთო შემაკავშირებელ ძალად მიაჩნდა. მისი პან-თურქული პროპაგანდა უარყოფილი იქნა „ახალგაზრდა თურქების“ მიერ, რომელითაც ცარისტული ავტოკრატიისგან თათრების გათავისუფლება რევოლუციის გზით სურდათ. მიუხედავად ამისა, ნაციონალისტური სენტიმენტები კიდევ უფრო გააღვივა 1905 წლის შემდეგ რუსეთში არსებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ. რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის მარცხმა, კონსტიტუციის გამოცხადებამ, 1906 წლის დუმის მოწვევამ და შემდგომმა მოვლენებმა, მოჩვენებითმა დემოკრატიზაციამ და ლიბერალიზაციამ, რამდენიმე თურქი ინტელექტუალი უფრო ქმედითი მოქმედებისკენ აიძულა. ამ დროიდან მოყოლებული პოლიტიკური საქმიანობა უფრო გამოკვეთილი გახდა, რაც გამოიხატებოდა კიდეც სხვადასხვა ჯგუფების ლიდერების სახალხო შეხვედრებში, სადაც ინტელექტუალების სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1905 წლის 15-28 მარტს შეიკრიბა პირველი კონგრესი, სადაც უმრავლესობას თათრები წარმოადგენდნენ, იყვნენ აზერებიც და სხვა თათრული ჯგუფებიც თურქმენეთიდან, ციმბირიდან და რუსეთის შიდა ტერიტორიებიდან, დაახლოებით სულ 150 დელეგატი. კონგრესის თავმჯდომარე იყო ისმაილ გასპარლი. კონგრესი წარმოდგენილი იყო როგორც მუსლიმთა შეკრება. კონგრესის პირველი რეზოლუცია მოითხოვდა რუსეთის ყველა თათრული ჯგუფების ერთობის ჩამოყალიბებას. კონგრესმა ასევე გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა რუსეთის ყველა მუსლიმის მუდმივი ორგანიზაცია, რომელიც დაიყოფოდა თექვსმეტ რეგიონად და თითეულ მათგანს ექნებოდა საკუთარი არჩევითი ორგანო-მეჯლისი, ხოლო ცენტრალური ასამბლეა შეიკრიბებოდა ბაქოში. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ შედგა რამდენიმე ლოკალური შეხვედრა, მხოლოდ ყაზანის ასამბლეა ფუნქციონირებდა რეგულარულად.

1906 წლის 13-23 იანვარს სანკ-პეტერბურგში, გასპარლის თავმჯდომარეობით შეიკრიბა მეორე კონგრესი. მასში მონაწილეობდა 100 თათარი, ყირგიზი, ყირიმელი

და კავკასიელი ჯგუფები. კონგრესის გადაწყვეტილებით, უნდა შექმნილიყო „რუსეთის მუსლიმთა კავშირი“, რომელიც თავიდან უფრო თათარ და აზერ ნაციონალისტთა ასოციაცია იყო ვიდრე მუსლიმთა იმპერიის წარმომადგენლობა.

იმავე წელს 16-20 აგვისტოს ნიჟნი ნოვგოროდში შეიკრიბა მესამე კონგრესი. კონგრესზე ისევ ჭარბობდნენ ვოლგის თათრები. კომიტეტის თოთხმეტი წევრიდან ათი ვოლგის თათარი იყო, ერთი ყირიმელი თათარი (გასპარლი), ერთი აზერი, ერთი ყაზახი და ერთიც თურქესტანიდან (რომელიც ფაქტობრივად თათარი იყო). უნდა ითქვას, რომ მართალია თურქესტანელები დიდ ინტერესს გამოხატავდნენ პან-თურქიზმისადმი, თუმცა თითქმის არ მონაწილეობდნენ ამ კონგრესებში.

მესამე კონგრესმა გადაწყვიტა გარდაექმნა „მუსლიმთა კავშირი“ პოლიტიკურ პარტიად იმ პროგრამით, რომელიც იყო მიღებული მეორე კონგრესზე. პარტია მხარს უჭერდა ლიტერატურული, საგანმანათლებლო და ფილანტროპული საზოგადოების ჩამოყალიბებას, როგორიც იყო „მუსლიმთა კულტურული საზოგადოების“ ხელშეწყობა. ეს საზოგადოება დაარსებული იყო ასტრახანის ხანსკაია სტავკაში და მისი მთავარი მიზანი იყო რუსეთის მუსლიმების ერთი, საერთო ენის ქვეშ გაერთიანება. თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს გამოხატავდნენ ისეთ ჟურნალებში, როგორიცაა ორენბურგის „Vakit“ და ბაქოს „Sada“.

თათრები ძალიან აქტიურები იყვნენ სამივე კონგრესში, ,,მუსლიმთა კავშირსა“ და დუმაში. მათი სურვილი გამოეწვიათ რაც შეიძლება მეტი თურქული ჯგუფის მხარდაჭერა პან-თურქული გეგმებისათვის, მარცხით დასრულდა, რაც ალბათ გამოწვეული იყო უფრო მეტად ობიექტური ფაქტორებით (მანძილი ჯგუფებს შორის) ვიდრე არაეფექტური პოლიტიკური ორგანიზებით.

გასპარლის პროგრამის ყველაზე საკამათო თურქებისა და მუსლიმების რუსეთთან და დასავლეთთან ურთიერთობებების საკითხები წარმოადგენდა. ის არ იზიარებდა იდეას, რომ მუსლიმი ხალხის გადარჩენა მხოლოდ ევროპული ცივილიზაციის გადმოტანაში მდგომარეობდა. გააზრებული ჰქონდა ისლამის პოტენციური ძალა და მიაჩნდა რომ მუსლიმური სამყაროს დაცემა დროებითი

მოვლენა იყო. თვლიდა, რომ ნებისმიერი ნაადრევი კონფლიქტი რუსეთთან ყირიმელი და სხვა თურქი ხალხისთვის არ იქნებოდა მომგებიანი. ამიტომაც მიაჩნდა, რომ მიზნების მისაღწევად გარკვეული კომპრომისების და რუსეთის მთავრობასთან თანამშრომლობა მისაღები იყო.

გასპარლის იდეების მიმდევარი იყო ცნობილი სიბირსკელი თათარი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე (შემდეგში სტამბულის უნივერისტეტის პროფესორი) იუსუფ აქჩურამ. აკჩურამ სრულიად ახალი შესაძლებლობები მისცა გასპარლის იდეებს.. იგი სამივე კონგრესის აქტიური მონაწილე და პან-თურქიზმის ყველაზე გავლენიანი იდეოლოგი იყო რუსეთის იმპერიაში. 1904 წლის აპრილში თავის სტატიაში „ხელისუფლების სამი სისტემა“ (Akçura, 1911), რომელიც ანონიმურად დაიბეჭდა კაიროს ჟურნალში „Turk”, აყალიბებდა პან-თურქიზმის მიზანს. ეს იყო თურქიზმის თავისებურ მანიფესტი. აქჩურა განიხილავდა ოსმალიზმს და უარყოფდა მას, რადგან მიაჩნდა, რომ ის ამცირებდა თურქების უფლებებს. აკრიტიკებდა პან-თურქიზმს არამუსლიმი ჯგუფების ანტაგონიზმში და ხოტბას ასხამდა თურქიზმს, რადგან ის სთავაზობდა კავშირის ერადერთ შესაძლებლობას (Akçura, 2007). აკჩურას თავის ნაშრომში წარმოდგენილი ჰქონდა ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების სამი მთავარი მიმართულება:

1. ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ხალხების ასიმილაცია და გაერთიანება, რომლებიც შემდეგში ოსმალურ ერად ჩამოყალიბდება;
2. მუსლიმების გაერთიანება ოსმალეთის სულთნის ნომინალური ხელმძღვანელობით (მუსლიმური სამყაროს ხალიფა);
3. ეთნიკურ ფაქტორზე დაყრდნობით, თურქი ერის პოლიტიკური ჩამოყალიბება (Akçura, 2007).

თურქიზმის და ოსმანიზმის იდეების ღრმად გააზრებისას აქჩურა მივიდა დასკვნამდე, რომ ,,ერთიანი ერის შექმნა უაზრო მცდელობაა“. ,,ისლამური ერთიანობის“ იდეის განხორციელებაც წარმოუდგენლად მიაჩნდა, რადგან თვლიდა, რომ თუ ოსმალეთის იმპერია ასეთი პოლიტიკის გატარებას დაიწყებდა,

აუცილებლად მოჰყვებოდა მას ქრისტიანული სამყაროს და პირველ რიგში, რუსეთის პროტესტი. მისი აზრით, მხოლოდ ,,თურქული ერთიანობის“ იდეას გააჩნდა მომავალი. იგი წერდა: ,,თურქული ერთიანობის“ მთავარი და ყველაზე დიდი სარგებელი იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელი შეუწყოს თურქთა გაერთიანებას, რომელთა განსახლების ტერიტორიები, აზიის დიდ ნაწილსა და აღმოსავლეთ ევროპას მოიცავს. მათ ერთნაირი ენა, ერთნაირი წარმომავლობა, ერთი და იგივე წეს-ჩვეულებები, უმრავლესობას კი ერთი რელიგიაც ექნება“ (Akçura, 2007). აკჩურა და მისი მხარდამჭერები ამტკიცებდნენ თურქული ჯგუფის ნაციონალური კავშირის, როგორც ,,დახურული წრის“ არსებობას, რომლის ცენტრიც იქბენებოდა თურქეთი. პირველად მოხდა, რომ ნაციონალიზმი განხილული იყო როგორც ალტერნატივა ოსმალისმისა და პან-ისლამიზმისა და უყოყმანოდ ენიჭებოდა უპირატესობა მისი განხორციელებადობას და სარგებლიანობას იმპერიის გადარჩენის საქმეში. ,,თურქული რასის“ და ,,თურქული სამყაროს“ ინტერესების პირველობამ ჩამოაყალიბა აკჩურას კონცეფცია პან-თურქიზმზე და პან-თურქულ პოლიტიკაზე. ის ხედავდა თურქების სამყაროს ერთ, განუყოფელ ერთობად, რომელსაც ჰქონდა კულტურული კავშირები (ენა, ისტორია, ტრადიციები) და მატერიალური კავშირები (სისხლი, რასა). ტერმინი ,,თურქი“ გამოიყენებოდა ყველა თურქული წარმოშობის ჯგუფების თათრების, აზერების, ყირგიზების, იაკუტების და სხვების მიმართ. მათთან მიმართებაში აკჩურა იყენებდა ტერმინს ,,ნაცია“ (Milet) და მოუწოდებდა მათ საერთო მიზნისათვის გაერთიანებას.

პან-თურქული ნაციონალიზმის ფორმურილებისთვის საინტერესოა კავკასიელი თათარი, კერძოდ, აზერი ინტელექტუალი შეიხ ულ-ისლამი - ალი ჰუსეინზადე. 1907 წელს, თავის ჟურნალში ,,Füyzat “(განმანათლებლობა), განმარტავდა თურქული ნაციონალიზმის მიზნებს, როგორც ,,თურქიზმი, ისლამიზმი და ევროპეანიზმი“, მისი მიდგომა ასახავდა სამ ეტაპს ნაციონალიზმის კრისტალიზაციაში და თურქიზმს მიიჩნევდა ყველაზე ბოლოს და ყველაზე მნიშვნელოვანს (ჩაჩხიანი, 2015).

ახალგაზრდა თურქების რევოლუციის შემდეგ, პან-თურქისტებმა დაიწყეს ოსმალეთის იმპერიის ორგანიზება. ,,ოსმალეთის სახელმწიფოში, სადაც თანაცხოვრობდა 18 ეთნიკური ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა კონფესიებს მიეკუთვნებოდნენ, არ არსებობდა ნაციონალიზმი - ამ სიტყვის ჩვეულებრივი ტრადიციული გაგებით. რელიგიური თემის ფაქტორის პარალელურად ეროვნული საკითხის წამოწევა დაწყებული იქნა ,,ახალგაზრდა ოსმალთა" და ,,ახლაგაზრდა თურქთა" მიერ (მანჩხაშვილი & მაკარიძე, 2015). ამ დრომდე ასეთი აქტივობა აშკარად საშიში იყო, რადგან აბდულ ჰამიდ II დევნიდა ნებისმიერი სახის ორგანიზაციას. 1908 წლის შემდეგ ახალი რეჟიმი უფრო ლმობიერი იყო პან-თურქული ორგანიზაციისადმი, მოგვიანებით კი მხარსაც უჭერდა მას. მეტიც, ,,გარე თურქების" მზარდი რაოდენობა მუხტს მატებდა ასეთ ორგანიზაციას. ამ პერიოდში დაარსდა რამდენიმე ორგანიზაცია ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც პან-თურქული საზოგადოებების ბირთვს წარმოადგენდა.

პან-თურქიზმის სტრატეგია და ტაქტიკა მოითხოვდა სისტემატიზაციას. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში რამდენიმე ადამიანმა სცადა პან-თურქიზმის ანალიზი და სისტემატიზაცია, მათ შორის, ვინც ერთ-ერთი პირველი მიუდგა პრობლემას მეთოდურად იყო ზია გოკალფი.

ზია გოკალფი „ახალგაზრდა თურქების" მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, „ერთიანობისა და პროგრესის პარტიის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო. სწორედ ზია გოკალფიმ განავითარა ალი ჰუსენ -ზადეს სამი განუყოფელი პრინციპი. გოკალფის მიაჩნდა, რომ საუკუნეების განმავლობაში თურქებმა დაკარგეს თავიანთი ტრადიციები და დაპყრობილი ხალხის ტრადიციები შეიძინეს. ,,სხვა ხალხების დაპყრობით, ჩვენ აღმოვჩნდით სულიერად დაპყრობილები" - წერდა ის, ამიტომ საჭიროდ თვლიდა ისტორიულ ფესვებთან დაბრუნებას, „საკუთარი თავის ხელახლა შეცნობას", „თურქული სულის" დაბრუნებას. გოკალფი აიდიალებდა თურქული მოდგმის ხალხების პრე-ისლამურ ყოფასა და წარმოშობას, თურქი ხალხის პოლიტიკურ და კულტურულ მიღწევებს, მათ

დიდებულ წინაპრებს. გოქალფი თურქული მოდგმის ისტორიულ საცხოვრისს - „თურანს“ განადიდებდა და მისი ,,ხელახლა შექმნის“ აპოლოგეტად გამოდიოდა (ჩაჩხიანი, 2015).

გოკალფიმ ჩამოაყალიბა თურქიზმზე დამყარებული ახალი პოლიტიკური პროგრამა, რომლის მთავარი იდეა იყო თურქული მოდგმის ხალხის გაერთიანება. იყენებდა რა სოციოლოგიურ კვლევებს კულტურული დეფინიციისთვის, ცდილობდა გაეანალიზებინა ძირეული კონცეფცია. ამის მაგალითია მისი მეთოდოლოგიური კვლევა „ნაციისა“, რომელშიც ის ემხრობოდა კულტურის საერთო კავშირს, რაც სავარაუდოდ მოიცავდა ყველა თურქს, ახლოს და შორს, ერის მისეული კონცეფციით. განიხილავდა რა სხვადასხვა კრიტერიუმებს ნაციის განსაზღვრისას, გოკალფი მივიდა დასკვნამდე, რომ ,,ერი არ არის რასობრივი, ეთნიკური, გეოგრაფიული ან პოლიტიკური ან ნებაყოფლობითი ჯგუფი, არამედ ინდივიდებისაგან შემდგარი ერთობა, საერთო ენით, რელიგიით, მორალური ღირებულებებით და ესთეთიკით. შეგევიძლია ვთქვათ, რომ ის ვინც მიიღო ერთნაირი განათლება“ (Gökalp, 1968). გოკალფი განიხილავდა სამ ეტაპს:

1. თურქები თურქეთის რესპუბლიკაში ერი, კულტურული და სხვა კრიტერიუმებით;
2. ოღუზ თურქები, (ზოგჯერ მათ უწოდებენ აზერბაიჯანის, ირანის და ხვარაზმის თურქმანებს, ვინც ამ ტერიტორიების გარდა გაფანტული იყვნენ თურქეთის ტერიტორიაზე და ბუნებრივია, რომ ჰქონდათ ერთი საერთო კულტურა, რომელიც ისეთივე იყო, როგორც თურქეთის ტერიტორიაზე და ბუნებრივია მათ ჰქონდათ საერთო კულტურა, რომელიც ისეთივე იყო როგორიც თურქეთში მცხოვრები თურქების და ეს ოთხი ერთობლივად ქმნიან ოღუზისტანს).
3. უფრო შორეული, თურქულად მოლაპარაკე ხალხები, როგორიცაა იაკუტები, ყირგიზები, უზბეკები და თათრები. ტრადიციულად ფლობდნენ ლინგვისტურ და ეთნიკურ ერთობას, ჰქონდათ მსგავსება, თუმცა არა იდენტობა თურქულ კულტურასთან.

ეს ყველაფერი კი ქმნის დიდ თურქისტანს ანუ თურანს (გოკალპის მიაჩნდა, რომ თურანში არ იყო უნგრელების და ფინელების ადგილი). გოკალპის მიხედვით, მხოლოდ პირველი ამ ეტაპებიდან „თურქეთიზმი“ გახდა რეალობა - თურქეთის რესპუბლიკა; მეორე „ოღუიზმი“ შესაძლებელია მიღწეული იყოს ოდესმე მომავალში, ხოლო მესამე „თურანიზმი“ თავისი ასი მილიონი ადამიანით დარჩა შორეული მომავლის ილუზიად. ეს იყო თურანის მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური პროგრამები. გოკალპის მიდგომა ამ სამი ეტაპისადმი მიუთითებდა გარკვეულ უკანდახევაზე პან-თურქიზმის იდეალების მხარდაჭერიდან, რადგანაც მისი დამოკიდებულება პან-თურქიზისადმი აღარ იყო ისეთი გულმხურვალე ოტომანთა იმპერიის დაცემის შემდეგ. შეხედულების ცვლილება ალბათ იმ დროის გამოძახილი იყო, რომელშიც თურქეთის ახალი რესპუბლიკა ცდილობდა თავისი საკუთარი პრობლემებზე კონცენტრირებას და იმ უცხო პრობლემების არიდებას, რომლებმაც დააზარალეს ოტომანთა იმპერია.

პან-თურქისტულ ნაციონალურ გამოღვიძებაში ადრეულ ოციან წლებში განსაკუთრებით აქტიურები იყვნენ აზერები. რთულია განსაზღვრო ასეთი აქტივობა რით იყო გამოწვეული - თურქეთის და აზერბაიჯანის სიახლოვით თუ ინტელექტუალური ცხოვრების სტიმულაციით, რადგანაც ბაქო იყო სხვადასხვა საზოგადოების ინტელექტუალების შეხვედრების მნიშვნელოვანი ადგილი.

ოსმალეთის იმპერიის შიგნით პან-თურქიზმის პროპაგანდა ფართოდ გავრცელებული იყო გარე თურქების მიერ, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ემიგრირდნენ თურქეთში ზოგი საკუთარი სურვილით, ომში დაკარგული ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიებიდან და ზოგი კი როგორც პოლიტიკური დევნილი, გამოქცეული ცარისტულ რუსეთს და მის აბსოლუტურ რეჟიმს. ბევრმა მათგანმა სწავლა დაიწყო სტამბულის უნივერსიტეტებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სტამბულის ინტელქტუალური დონის ამაღლებაში.

პან-თურქიზმის ისტორიული შანსი დადგა პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა ახალგაზრდა გავლენიანმა თურქებმა, მათ ვინც განსაზღვრავდნენ იმპერიის

ბედ-იღბალს, მიიღეს ის, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი სახელმწიფო პოლიტიკისათვის. პან-თურქიზმმა მთლიანად ჩაანაცვლა სხვა, კარგად ჩამოყალიბებული სახელმწიფო იდეოლოგიები და მსოფლმხედველობა. პან-თურქიზმა შეძლო ჩამოეყალიბებინა სახელმძღვანელო პოლიტიკის კეთებისთვის.

მიუხედავად ყველაფრისა პან-თურქიზმმა ვერ შეუშალა ხელი ოსმალეთის იმპერიის დაშლას, თურქული ნაციონალიზმი, რომელმაც ხელი შუწყო შენარჩუნებულ ტერიტორიებზე დამოუკიდებელი თურქული სახელმწიფოს შექმნას, იღებს განსხვავებულ სახეს და რადიკალურად განსხვავდება ოსმალეთის იმპერიის პერიოდში წარმოშობილი ნაციონალიზმისაგან.

დასკვნა

პან-თურქიზმი ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებში, მისი აქტიური ეტაპი ოსმალეთის იმპერიაში მეოცე საუკუნის ადრეულ 20-იან წლებში დაიწყო და ძირითად განვითარებას პირველი მსოფლიო ომის წლებში მიაღწია.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, გაჩნდა ნაციონალიზმის ჩანასახები, როგორც საკუთარი იდენტობის თვით-შემეცნების ასპექტი. ოსმალური იდეოლოგიური საფუძვლები ოთხი ძირითადი მიმდინარეობით იყო წარმოდგენილი - ოსმანიზმი, ისლამიზმი, ვესტერნიზმი და ახლად ჩასახული პანთურქიზმი. 1912-1913 წლებში ბალკანეთის ომებში განცდილმა მარცხმა ხელი შეუწყო პან-თურქიზმის შემდგომ განვითარებას (ჩაჩხიანი, 2015) ნაციონალიზმმა თავი იჩინა ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ინტელექტუალების ჩანაწერებში, პროზასა და პოეზიაში. ყველაზე მეტად დამახასიათებელი ამ ჩანაწერებში იყო მკვეთრად იყო გამოხატული სეკულარისტული ორიენტაცია, რომელიც შორს იდგა იმ აზრისგან, რომ ისლამი წარმოადგენდა იმპერიის მოსახლეობის შემაკავშირებელ ძალას და უპირისპირდებოდა სულთან აბდულჰამიდ II-ის პან-ისლამიზმის ოფიციალური პოლიტიკას.

პან-თურქიზმის იდეოლოგია თურქი ხალხების აღორძინებას ისახავდა მიზნად, მან შეძლო ჩაენაცვლებინა ისლამიზმი, რომელიც მოუწოდებდა ყველა მუსლიმს მსოფლიო სასულთნოსა და სახალიფოს შექმნისაკენ (ჩაჩხიანი, 2015).

პირველი მსოფლიო ომის წლებში ოსმალეთის მთავრობა ოფიციალურად უწყობდა ხელს პან-თურქულ მოძრაობას და პან-თურქიზმი გახდა როგორც სახელმძღვანელო პრინციპი სახელმწიფო პოლიტიკისათის. პან-თურქიზმი იყო ერთადერთი იდეოლოგია, რომელიც განიხილებოდა იმ დროინდელ ოსმალეთის იმპერიაში. მისი შექმნა და განვითარება განაპირობა ოსმალეთის იმპერიის სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა თავისებურებებმა.

პან-თურქიზმი სწრაფად განვითარდა და პიკს მიაღწია იმპერიის დაშლის ბოლო პერიოდში, რაც გამოწვეული იყო ერთის მხრივ ხელსაყრელი მდგომარეობით და იმპერიის შიგნით მოღვაწე ინტელექტუალების გავლენით და მეორეს მხრივ, „გარე თურქებით“.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ პან-თურქიზმმა ვერ შეძლო ხელი შეეშალა და შეეჩერებინა ოსმალეთის იმპერიის დაშლა. იმპერიის შენარჩუნებულ ტერიტორიებზე შეიქმნა ახალი თურქული სახელმწიფო ახალი თურქული ნაციონალიზმით, რომელიც რადიკალურად განსხვავებული იყო ოსმალეთის იმპერიის ნაციონალიზმისაგან.

თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე მოხდა პან-თურქიზმის გადანაცვლება გვერდით პოზიციებზე, თუმცა ის არ გამქრალა და აღმოფხვრილა სრულად, უბრალოდ ჩაანავცვლა, ახალი სახელმწიფოს მოწონებულმა, ახალმა იდეოლოგიამ.

ბიბლიოგრაფია

მაკარაძე ე. (2015). თურქეთის ისტორია 1918-2017 წლებში, სალექციო ჩანაწერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი. გვ.48.

მანჩხაშვილი მ. & მაკარაძე ე. (2014). ქემალიზმი და დემოკრატია თურქეთში თბილისი. გვ.14.

ჩაჩხიანი ა. (2015). პანთურანიზმი და „აღმოსავლეთის ხალხთა“ საკითხი, თბილისი. გვ. 74

Akçura Y. (2007). Türkçülük Tarihi Gelişimim, İstanbul. p.9

Akçura Y. (1911). Üç Tarz-ı Siyaset, Kairo. P.10

Gökalp Z. (1968). The principles of Turkism, transl. by Robert Devereux., p.583

Landau J.M. (1981). Pan-Turkiism in Turkey a stady in iredentism, london, p.7-8

Landau J. M. (2004). Exploring Ottoman and Turkish History, London, p. 9

Review, XII, Okt. Zenkovsky S. A. A. (1953). Century of Tatar revival, The American Slavie And East European, pp.303-18

Гилязов И. (2002). Тюркизм: становление и развитие (характеристика основных этапов). Казаньский государственный университет. Институт востоковедения. Факультет татарской филологии и истории. Казань. Стр. 18.